

თავი 14

ფასდადგენა

1. ქვემოთ ჩამოვლილთაგან, რომელია ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ საქონლისა და მომსახურების ფასდადგენაზე:
 - ა) მომწოდებლები, დანახარჯები, გრძელვადიანი პროგნოზები;
 - ბ) მომწოდებლები, პარტნიორები, კონკურენტები.
 - გ) დანახარჯები, მომხმარებლები, კონკურენტები.
2. ფასდადგენისადმი მიდგომა – დანახარჯებს პლუს ფასნამატი თავის თავში გულისხმობს:
 - ა) ეკონომიკურ დამოკიდებულებას ფასსა და მოთხოვნას შორის;
 - ბ) არ გულისხმობს ეკონომიკურ დამოკიდებულებას ფასსა და მოთხოვნას შორის და არის ბუღალტრული მიდგომა;
 - გ) მასში თანაბრადაა გათვალისწინებული როგორც ბუღალტრული მიდგომა ასევე ეკონომიკური დამოკიდებულება ფასსა და მოთხოვნას შორის.
3. ფასნამატი გულისხმობს:
 - ა) მოგება დგინდება, როგორც სარეალიზაციო ფასისი პროცენტული მაჩვენებელი;
 - ბ) მოგება დგინდება, როგორც თვითღირებულების პროცენტული მაჩვენებელი;
 - გ) ორივე პასუხი სწორია.
4. ფასდადგენის მიდგომის, დანახარჯებს პლუს ფასნამატი, დადებითი ვისებაა:
 - ა) უზრუნველყოფს ფასის მოქნილობას;
 - ბ) მიისწრაფვის ოპტიმალური ფასის დადგენისაკენ;
 - გ) მისი გამოყენება ფართოდ არის შესაძლებელი.
5. მოთხოვნა ელასტიურია ფასის მიმართ თუ:
 - ა) პროცენტული ცვლილება მოთხოვნაში მეტია პროცენტულ ცვლილებაზე ფასში;
 - ბ) პროცენტული ცვლილება მოთხოვნაში ნაკლებია პროცენტულ ცვლილებაზე ფასში;
 - გ) ორივე პასუხი სწორია.
6. მოთხოვნის ელასტიურობა ფასის მიმართ ნიშნავს:
 - ა) კონკურენტების ფასებიდან გამომდინარე ფასის ცვლილებას;
 - ბ) ფასის ცვლილების შედეგად გამოწვეულ მომხმარებელთა მოთხოვნის ცვლილებას;
 - გ) ორივე პასუხი სწორია.
7. როცა კომპანიის ახალ ბაზარზე შეაქვს პროდუქტი, რომლის ანალოგიც არ არსებობს, ლოგიკური იქნება თუ გამოიყენებს:
 - ა) ფასდადგენა ბაზარზე შეღწევის მიზნით;
 - ბ) ფასდადგენა ბაზარზე „ნაღების მოხდის მიზნით“;

- გ) ფასდადგენა დამატებითი პროდუქციის შეთავაზებების გათვალისწინებით.
8. ფასდადგენა პარტიის მოცულობის გათვალისწინებით განსაზღვრული ფასდათმობის მიხედვით გულისხმობს:
- ა) რაოდენობრივ ფასდათმობებს;
 - ბ) ფასდათმობას დაგროვილ რაოდენობაზე;
 - გ) ორივე პასუხი სწორია.
9. დიფერენცირებულ ფასების დადგენას თან ახლავს შემდეგი საფრთხე:
- ა) შესაძლოა კონკურენტებმა ბაზართან შეერთებით მოახდინონ ფასების ხელოვნური დაცემა;
 - ბ) სხვადასხვა ბაზარზე არსებობს ფასებზე მოთხოვნის განსხვავებული ელასტიურობა;
 - გ) შესაძლებელია სხვადასხვა ბაზარზე სხვადასხვა ფასებით ვაჭრობა.
10. დამატებითი პროდუქციის შეთავაზების გათვალისწინებით ფასდადგენას აქვს შემდეგი ნიშან-თვისებები:
- ა) ძირითადად პროდუქტს შეიძლება ჰქონდეს შედარებით დაბალი ფასი, ხოლო დამატებითს კი შედარებით მაღალი, რითაც ხდება მომხმარებლის მოზიდვა;
 - ბ) ძირითადი პროდუქტს შეიძლება ჰქონდეს შედარებით მაღალი ფასი და დამატებითს კი შედარებით დაბალი, რითაც ხდება მომხმარებლისათვის უკან დასახევი ბარიერის შექმნა.
 - გ) ორივე პასუხი სწორი.
11. ურთიერთდაკავშირებული პროდუქტების წარმოებისას ლოგიკური იქნება, თუ საწარმო უპირატესობს მიაწვდეს ფასდადგენის შემდეგ ფორმას:
- ა) ფასდადგენა პარტიის მოცულობის გათვალისწინებით;
 - ბ) დიფერენცირებული ფასების დადგენა;
 - გ) ფასდადგენა პროდუქციის ხაზის შემადგენელი სხვა ელემენტების ფასების გათვალისწინებით.
12. რელევანტური დანახარჯებით ფასდადგენა გამართლებულია:
- ა) ერთჯერადი გადაწყვეტილების მიღებისას;
 - ბ) გრძელვადიანი გადაწყვეტილების მიღების მიღებისას;
 - გ) ორივე ზემოთხაზოვლილი სწორია.
13. შპს “X” მა ერთეულზე დანახარჯების შემცირების მიზნით აწარმოა დიდი მოცულობის პროდუქცია, ახლა კი მისაღები აქვს გადაწყვეტილება, რომელი ფასდადგენის სტრატეგია აირჩიოს:
- ა) ბაზარზე “ნაღების მოხსნის” სტრატეგია;
 - ბ) ფასდადგენა ბაზარზე შეღწევის მიზნით;
 - გ) გააჩნია კონკრეტულ პირობებს: “ა” ვარიანტს არჩევს თუ “ბ” –ს.

ამოცანა №1

პროდუქციის ერთეულის მთლიანი თვითღირებულება არის 540ლ. გამოითვალეთ მისი სარეალიზაციო ფასი, როდესაც:

1) ფასნამტი არის 25%

2) მოგების მარჟა არის 25%

მოცანა №2

არსებობს შესაძლებლობა, რომ რეალიზაციის მოცულობა გაიზარდოს 10000 ერთეულით:

- დამატებითი ერთეულების სარეალიზაციო ფასი – 10ლ;
- ცვლადი დანახარჯები დამატებით ერთეულებზე – 6ლ;
- მუდმივი დანახარჯები გაიზრდება 50000-ით.

დავალება:

განსაზღვრეთ, უნდა იქნეს თუ არა გამოყენებული ეს შესაძლებლობა?

ამოცანა №3

შპს "იმედი" აპირებს პროდუქციაზე ფასის დადგენას "დანახარჯი პლუს 20%" სისტემის მიხედვით.

ძირითადი მასალა:		ლარი
მასალა 1	(4კგ, 2.50 ლარი კგ-ში)	10
მასალა 2	(1კგ, 7ლარი კგ-ში)	7
ძირითადი შრომა	(2საათი, 6.5ლარი საათში)	13
მუდმივი ზედნაღები დანახარჯი	(2 საათი, 3.5 ლარი საათში)	7
		<u>37</u>

დავალება:

- ნორმატიული დანახარჯის გამოყენებით გამოთვალოთ ორი განსხვავებული დანახარჯი-პლუს ფასი, ორი განსხვავებული საფუძვლის გამოყენებით (ზღვრული და სრული).
- რა იგულისხმება ფასნამატის მაჩვენებლებში 20%-ში, თუკი ამ პოლიტიკას იყენებს ფასდადგენის პოლიტიკად.

ამოცანა №4

კომპანია “X” აწარმოებს ორი სახის პროდუქციას, **A**-ს და **B**-ს, რომელთა ერთეულის სრული დანახარჯი შესაბამისად არის 12 ლარი და 24 ლარი. კომპანია იყენებს $33\frac{1}{3}\%$ -იან ფასნამატს სარეალიზაციო ფასის დადგენისათვის და ამგვარად მიმდინარე ფასები შესაბამისად არის 16 ლარი და 32 ლარი. წლის ბოლოსათვის კომპანიის მოსალოდნელი მოგება არის 300000 ლარი, როდესაც წარმოება და შესაბამისად რეალიზაცია არის 15000 ერთეული **A** და 30000 ერთეული **B**. **A**-ს ყოველი ერთეული საჭიროებს ერთსაათიან გადამუშავებას და **B**-ს ყოველი ერთეული კი 1,5 სთ-იან გადამუშავებას.

სავარაუდოდ, მიმდინარე წელს, მუდმივი დანახარჯი 60000 ლარი განაწილდება **A**-ზე და 300000 ლარ - **B**-ზე. არსებული ფასების გათვალისწინებით, მოსალოდნელია, რომ პოტენციური მოთხოვნა **A**-ზე იქნება 20000 ერთეული, ხოლო **B**-ზე – 40000 ერთეული.

დავალება:

კრიტიკულად გაანალიზეთ “X”-ის მიერ მიღებული პროდუქციის ასორტიმენტის მაჩვენებლები. გამოთვალეთ წარმოების შესაძლო ოპტიმალური მოცულობა, თუ ფასების ცვლილება არ არის ნავარაუდები და გადამუშავების დრო შეზღუდულია.

ამოცანა №5

კომპანია Y-ს შეთავაზეს გარკვეული ტიპის დაკვეთა, რისთვისაც დამკვეთი იხდის 55000 ლარს. მენეჯმენტმა შეადგინა შემდეგი ანგარიში:

		ლარი
კონტრაქტის ფასი	(დანახარჯი პლუს 20%)	<u>60780</u>
დანახარჯი:		
მასალა:	A (300 კგ, 10 ლარი კგ-ში)	3000
	B (1000 ლიტრი, 7 ლარი ლიტრში)	7000
	C (550 კგ, 3 ლარი კგ-ში)	1650
შრომა:	1-ლი განყოფილება (1500 საათი, 8 ლარი საათში)	12000
	მე-2 განყოფილება (2000 საათი, 10 ლარი საათში)	20000
ზედნადები დანახარჯი:	(რომელიც შთანთქმულია საბიუჯეტო სამუშაო დროის მიხედვით, 3500 საათი, 2 ლარი საათი)	<u>7000</u>
მთლიანი დანახარჯი		<u>50650</u>

დამატებითი ინფორმაცია:

მასალა A არის საკმარისი რაოდენობით; 10 ლარიანი ღირებულება წარმოადგენს საწყისი შეძენის ფასს, რომელიც გადახდილ იქნა რამოდენიმე წლის წინ. ეს მასალა აღარ გამოიყენება კომპანიის მიერ და გამოუყენებლობის შემთხვევაში, მისი კილოგრამის რეალიზება შეიძლება 3 ლარად.

მასალა B არის საკმარისი რაოდენობით და ეს მასალა მუდმივად გამოიყენება საწარმოს მიერ. მასალა თავის დროზე შეძენილ იქნა 7 ლარად, თუმცა, მიმდინარე შესყიდვის ფასი არის 6.50ლარი.

მასალა C. კომპანია Y-ს საწყობში აქვს ამ მასალის 300კგ და ახალი მასალის შეძენის ფასი არის 4 ლარი კგ-ში, თუ ეს მარაგი ამ კონტრაქტზე არ გამოიყენება, მაშინ ის გამოყენებული იქნება სხვა საწარმოო პროცესში Z მასალის ჩასანაცვლებლად, რომლის მიმდინარე შესყიდვის ღირებულება არის 7 ლარი კგ-ში. C-ს 2 კილოგრამი ცვლის Z-ს 1 კილოგრამს.

1-ლი განყოფილება.

ამ განყოფილებაში არის სარეზერვო შრომითი სიმძლავრე, რომელიც საკმარისია კონტრაქტის უზრუნველსაყოფად.

მე-2 განყოფილება.

ეს განყოფილება ამჟამად მუშაობს სრული დატვირთვით. კომპანია Y-მა შეიძლება ამუშაოს მუშახელი ზენორმატიული დროით და გადაუხადოს ჩვეულებრივზე ერთნახევარჯერ მეტი, ან მუშახელი შეიძლება გადმოყვანილი იყოს სხვა განყოფილებიდან, სადაც ისინი საათში გამოიმუშავენ 3 ლარიან ზღვრულ მოგებას.

ზედნადები დანახარჯი. ამ დანახარჯის შთანთქმა ხდება წინასწარ დადგენილი განაკვეთის მეშვეობით. დამატებითი დანახარჯი ამ პროექტის გამო არ წარმოიქმნება.

დავალება:

გაითვალისწინეთ ქვემოთ მოტანილი რელევანტური ინფორმაცია და რელევანტური დანახარჯთა კალკულაციის მეთოდის გამოყენებით გამოთვალეთ კომპანია -ის მიერ მინიმალური მისაღები ფასი, რათა მიღწეულ იქნეს წაუგებლობის ღონე.